მუშის განთავისუფლება
თვით მუშის საქმეა.

ცალკე № 3 კ.

ქალა, რომელიც ანგრევს ავტორიტეტს
ამავე დროს ამყარებს თავისუფლებას.

მუშა

	1 წ.	6 თ.		3 თ.		1 თ.	
	მ.	მ.	კ.	ი.	კ.	მ.	კ.
თბილისში.	5	2	50	1	25	—	50
თბილ. გარ.	6	3	—	2	—	—	60
საზღ. გარ.	10	5	—	3	50	—	1

შინაარსი:

1) ვინ არიან ხალხის მეგობრები. 2) ლექცია ბ. ჩერქეზიშვილისა. 3) ახალი ამბები. 4) მუშათა მოძრაობა. 5) სოციალ-დემოკრატიული კარხანა ცილის წამებისა. 6) კორესპონდენცია. 7) დეპეშები.

№ 2 ოთხშაბათი 7 ივნისი 1906 წ. თბილისი № 2

ვთხოვ ჩვენ აგენტებს პროვინციებში ფულები ყოველ შაბათობით გვიგზავნონ თუ სურთ, რომ შემდეგისთვისაც მიიღონ გაზეთი.

ვინ არიან ხალხის მეგობრები და ამხანაგები? *)

ვინ არის მუშა ხალხის მეგობრები?

ისინი ვისაც არა სწამს მარქსიზმი, სოციალური თეორია, საზოგადოებრივი ღვთისმეტყველება, არ მიაჩნია სოციალ-დემოკრატიული პარტია, ეს აწმყოში საზოგადოებრივი კათოლიციზმი მისგან განუყოფელი პოლიტიკური იეზუიტიზმით და უკიდურესი სოციალური კლერიკალიზმი მომავალში...

მაშასადამე ისინი ვისაც არა სწამს და არ მიაჩნია, რომ სოციალური და სოციალიზმი, დემოკრატია და პოლიტიკური თავისუფლება ერთი-ერთ იგივეა, არამედ მუშა ხალხის, ყველა ჩაგრულის და აჯანყებულების მეგობარი არიან ისინი, ვისაც სურს და ვინც ისწრაფვის სოციალური ცხოვრება დაანგრიოს და მის ადგილას დამყაროს სოციალიზმი, ისინი ვისაც შეუვლია, რომ ,,თვით მართველობა'' და „სახალხო თვითმართველობა'' არ არის ქეშმარიტების და ნამდვილი მდგომარეობის უტყუარი გამოთქმა—გამოსახულება, რომ ,,ხალხი'', რომელიც თავის თავს მოვალედ სთვლის იკისროს მთავრობა, მართველობა და ,,ხალხი'', რომელიც უნდა დაემორჩილოს მთავრობას და მმართველობას ერთ და იმავეს არ შეადგენენ, რომ ეგრედ წოდებული ,,თვით-მართველობა'' არ ნიშნავს თვითეულ პირის უფლებას, რომლითაც იმან უნდა მართოს თავისი საკუთარი პიროვნება, რომ სახალხო სურვილი ნამდვილად წარმოადგენს მხოლოდ ნებას ან უმრავლესობისას, ან სადღის ისეთი ნაწილისას, რომელიც ახერხებს თავისი თავი უმრავლესობათ მიაჩნევიოს დანარჩენ ნაწილს, რომ ამიტომ ხალხური მთავრობა (власть), დემოკრატია არის მიმართული თავისივე რამოდენიმე წევრების ჩაგვრისაკენ, და მონებისაკენ, რომ ამნაირი მისი თვისება მოითხოვს ბრძოლას დემოკრატიის წინააღმდეგ ისე, როგორც ყველა, ,,კრატიის'' უფლობის, მპყრობელობის წინაღმდეგ. მიუხედავად იმისა იქმნება ეს სოციალური დემოკრატია, სოციალ-დემოკრატია, თუ დემოკრატ-სოციალი, რომ ამ ნაირი შეხედულება არის ერთად-ერთი პროლეტარული შეხედულება, ნამდვილი მისწრაფება, როგორც ქალაქის, ისე სოფლის მუშა ხალხის, გლეხობის, რომლებიც თავისი მდგომარეობით ბუნებრივი მისწრაფებით ეწინააღმდეგება „უმრავლესობის ტირანიას“ ისე, როგორც „უმცირესობის ტირანიას“.

ვინ არის მუშის, კაცის მეგობარი?

ის ვისაც შეუგნია და იბრძვის იმ შეგნების წინააღმდეგ, რომლითაც სოციალ-დემოკრატია არის ისეთი პარტია, რომელიც ცდილობს შეარიგოს და შეაერთოს სოციალიზმის და დემოკრატიზმის წინააღმდეგური უკუღმართული ხასიათები, რომლებსაც სოციალ-დემოკრატია მიაჩნიათ ისეთ პარტიად, რომელიც უქადაგებს ხალხს იესო ქრისტის ძველ „ბალობას და მსგავს მუსაიფს“, რომლითაც პროლეტარიატი და ყველა გაყვლეფილნი ესე ვერ შევლენ სოციალიზმში, თუ კიდევ უფრო არ გაიყვლიფენ, ისე როგორც მდიდარი ვერ შევა სამოთხეში და აქლემი ვერ გაძვრება ნემსის ყურში, რომელიც ქადაგობს უკიდურეს გლეტაკებას სოციალიზმის განსახორციელებლად და ამით შეურაცხჰყოფს იმ დიად იდეალს სოციალიზმისას, რომელიც თვით არის მცნება ისეთი ორგანიზაციის, სადაც უარყოფილია, როგორც ლატაკობა ისე სიმდიდრე, რომელიც საუბედურად ყველა ჩაგრულთა, ჩაგონებს მათ, რომ მომავალი სოციალიზმის დასამყარებლად აწმყოში არა სოციალისტური წესი გავამეფოთ და ანტისოციალისტური საშვალება ვიხმაროთო, რომელიც ეკონომიურ პროლეტარიზაციასთან ერთად ქადაგებს პოლიტიკურ პროლეტარიზაციას—ცენტრალიზმს, ცენტრალიზმს, რომლის გამართლება შეიძლება მხოლოდ იმით, რომ მუშა ხალხი თვისი ბუნებით ვერ შესძლებს წარმოების მოწყობას და გაგრძელებას, რომლითაც მუშა და ყველა საზოგადოებრივი მშრომელი ვერ შეიძლებს სიმართლის და თავისუფლების დაცვას, რომლითაც ერთი სიტყვით გაყვლეფილი და დაჩაგრული ხალხი ცნობილია, როგორც ბუნებით ავი და ბნელი. მეორე მხრით-კი ეს პარტია ეთაყვანება მასსას, უმრავლესობას სთვლის პროლეტარიატს ბუნებრივ სოციალისტად.....

ვინ არიან მუშა-კაცის მეგობრები?

არა ისინი ვინც ატარებენ ს.-დემოკრატების სახელს, ვინც თავის თავს ცრუდ თვით-უწოდებენ სოციალისტს, ვინც სახელმწიფოს ეთაყვანება, ვისაც ბურჟუაზიული კაპიტალიზმი, მცარცველობა უნდა შესცვალოს და ამის ადგილას სოციალიზმის სახელით დაამყაროს კიდევ უარესი სახელმწიფოებრივი კაპიტალიზმი, მცარცველობა, ვისაც სურს საზოგადოება გადაქცეოს მრავალ საზოგადოებრივ, საერო ბერთა მონასტრებათ სოციალ-დემოკრატ ოგუმენების მეთაურობით და ყველა ერთად დაუქვემდებაროს სოციალ-დემოკრატიულ კატოლიციზმის მმართველ სახელმწიფოს.....

არა ისინი ვისაც სურს სოციალისტურ „სოუსით“ მიართვას ხალხს ზნეობრივი, გონებრივი, პოლიტიკური კრეტინიზაცია, რომელიც შესდგება იძულებითი, სამხედრო სისტემის სამოქალაქო ცხოვრებაში და მრეწველობაში გადატანისაგან.....

არა ისინი ვისაც სწამს აღმზრდელი მნიშვნელობა საყოველთაო საარჩევნო უფლების გარყვნილებისა, რომელსაც მათი სიტყვით აგიტაციისთვის ეწევიან.

არა ისინი ვინც პროლეტარიატს და წვრილ-გლეხობას აჩვევს სიტყვების აკუსტიკას, მრავალ სიატყვიანობას, ტიტყინს მოქმედების მაგიერად და რომელიც იმზადებს საფლავს ენაპარტალობაში...

არა ისინი, ვინც მუშაობენ პარლამენტში თავის მტრებთან ერთად, ვინც ამიტომ შედიან მათ მტრებთან მოლაპარაკებაში და ამ მოლაპარაკებიდგან-კი გადადიან ზავზე, ზავიდგან კავშირზე იმათთან, ვისაც დაუძინებელი მტრები უნდა ყოფილიყვნენ.

არიან ისინი ვისაც ჰგონია, რომ სოციალური კითხვის განხორციელება შეიძლება მომზადდეს პარლამენტში იქ სადაც სხედან პოლიტიკური „ოტკუპშჩიკები“, პოლიტიკური შუამავლები, არა ისინი ვისაც სწამს, რომ თვით სოციალური კითხვა გადაწყდება არა ბრძოლის ველზე, ქუჩაში იარაღით ხელში, არამედ პარლამენტის კულუარებში და თვით პარლამენტში.

არა ისინი ვისაც ჰგონია, რომ სოციალურ ევოლიუციას თავის თავად მოჰყვება სოციალიზმი, რომ ევოლიუცია და რევოლიუცია ერთი და იგივეა, არამედ ისინი ვისაც ჰგონია, რომ მათი „რეჩები“ იქონიებენ ან პირდაპირს ან არა პირდაპირ გავლენას კანონმდებლობაზე იმ კანონმდებლობაზე, რომლის გაუმჯობესობასაც ცდილობენ და რომელიც მხოლოდ მაშინ გაუმჯობესდება, როდესაც ყველა კანონი და კანონმდებლები მოისპობიან...

არა ისინი ვინც თავის თავს ხალხის წარმომადგენელად სთვლიან და იმას კი არ ჰკითხულობენ თუ ვის წინაშე! თუ ეს ვაკბატონები ხალხის წარმომადგენლებია მთავრობის წინაშე, მაშინ თავისი ადგილი ვერ უნახავთ, რადგან ხალხს მთავრობის წინაშე წარმომადგენლები კი არა, არამედ მთავრობის წინააღმდეგ მებრძოლნი სჭირია. და თუ თავის თავს სთვლიან ხალხის წარმომადგენლებათ, ისევ ხალხის წინაშე, მაშინ ან სულელებია და ან პოლიტიკური შარლატნები.

არა ისინი ვისაც ჰგონია, რომ რევოლიუცია სწარმოებს ზევიდან ქვევით, რომ სოციალიზმის განხორციელება შეუძლია კომიტეტებს და მის დეკრეტებს და არ კმარობს ამასაც და ბებელის პირით ამბობს, რომ „შემცდარია ის ვარაუდობა,

*) იხ. „მუშა“ № 1.

რომლითაც ვითომ სოციალ-დემოკრატია მუშაობდეს რევოლიუციის მოსამზადებლად“.

არა ისინი ვინც კაუცკის სიტყვებით ამბობს, რომ

საერთო გაფიცვა საერთო სისულელეაო და ამავე დროს ბებელის სიტყვით ამბობს, რომ „თუ თქვენ (მთავრობამ. ალი.) გაბედეთ და შეახეთ ხელი საყოველთაო საარჩევნო უფლებას, მაშინ პროფესიონალურ კავშირებში მოწყობილი მუშები ისარგებლებენ მთელი თავიანთი ეკონომიური შეძლებით ამ ნაირ დანაშაულობის ასაცდენათ“.

არა ისინი ვინც მუდამ ინტერნაციონალიზმზე ჰყვირიან და ნამდვილად კი მათი აზროვნება შოვინიზმის ნადული და უკიდურესი განვითარება არის, არა ისინი ვინც სხვას ნაციონალისტებს უწოდებენ ჭკონიათ, რომ ინტერნაციონალიზმი და ანტინაციონალიზმი ერთია და თავიანთი პაპის (ბებელის) პირით ამბობენ, რომ გერმანელები არა თუ ფილოსოფიურ (?) ხალხად ითვლებიან, არამედ „აგრეთვე ჩვენ (გერმანელებს. ალი.) გვაქვს ისეთი ნიჭი ორგანიზაციისა, როგორიც არავითარ სხვა ნაციას არ აქვს. „მხოლოდ ამ ნუმეტურ-პრუსიულ ნიჭის წყალობით, გერმანული სიმხედრო ძალა, რომელსაც ჩვენ ვებრძვით, წარმოადგენს ორგანიზაციონულ შედეგს“.

ვინ არიან ეკონომიური და პოლიტიკური თავისუფლების და მუშაკაცობრიობის მეგობრები?

არა ისინი ვინც სოციალ-დემოკრატიის სახელით

სცარცვენ და ჰკლავენ პიროვნებას საზოგადოებრივობის მოტივით.

სცარცვენ და ჰკლავენ ინიციატივას, თავისნობას სახელმწიფოს საშვალებით.

სცარცვენ და ჰკლავენ ადამიანის ბუნებას, თავისუფლებას „დისციპლინით“, ყაზარმული კეთილ მოქმედებით, რეგლამენტაციით.

სცარცვენ და ჰკლავენ ბურუჟაზიული რეჟიმის გაუმჯობესებისათვის სოციალისტური იმედების საშვალებით.

სცარცვენ და ჰკლავენ ეკონომიურად პროლეტარიაციის აუცილებლობის ქადაგებით.

სცარცვენ და ჰკლავენ პოლიტიკურად ცენტრალიზმის ქადაგების და ხმარების საშვალებით.

სცარცვენ და ჰკლავენ რევოლიუციონერებს და რევოლიუციონურ სულს აჯანყებულისას საყოველთაო გაფიცვის რევოლიუციის არა საპიროების, შეუძლებლობის და პარლამენტარული სიტყვის როსკიპობის ქადაგებით.

ალი.

ლექციი ვ. ჩერქეზიშვილისა.

4 თიბათვეს, სამოქალაქო მმართველობის დარბაზში, გამოჩენილმა მეცნიერმა და პუბლიცისტმა ვ. ჩერქეზიშვილმა წაიკითხა [illegible] ტი, საქალაქო, ეროვნულ [illegible] ნიალურ თვითმართ[illegible] ... საწყისში ლექტორმა [illegible] აშკარავა მნიშვნელო[illegible] „თვითმართებლობისა“ და „[illegible]“; შეადარა იგი ზოგიერ[illegible]ურ პარტიათა მიერ წამოყენებულ [illegible] ცნაურ ორეოფ „თვით-გამორკვევას“, რომელიც მეტაფიზიკური ტერმინია ... ბუნდოვან გამოცანათა სამეფოში ახვევს მსმენელის ყურადღებას. რეფერენტის სიტყვით „ავტონომია“ ანუ თვითმართველობა არის ისეთი ფორმა სოციალურ საზოგადო ცხოვრებისა, სადაც ესა თუ ის ხალხი, ესა თუ ის ერი თავის განსაზღვრულ ტერიტორიაში თვითვე განაგებს თავის საქმეებს, თვითვე უძღვება თავის სვე-ბედს სხვის დამოუკიდებლათ, სხვის უკითხავად

თვით ტერმინი „თვით გამორკვევისა“ პირმშო შვილია გერმანულ მეტაფიზიკისა, იმ გერმანიისა, სადაც გლეხთა ომების შემდეგ განქრა სული რევოლიუციისა, საუკუნოთ აღმოიფხვრა მისი ნაშთი, სადაც აღიზარდნენ მეტაფიზიკური შვილები. ერი „გამორკვეული“ ანუ „არ გამორკვეული“ არ არსებობს; არსებობენ, მხოლოდ ერები მეტ ნაკლებად დაჩაგრულ, მაშ რახან არსებობს ერი, მას აქვს თავისი საკუთარი ენა, თავისი ტრადიციები. ჩვეულებრივი უფლება და სხვა და სხვა. ლექტორმა, მაგალითათ მიუთითა ავტონომიურ ქალაქთა (გლაზგო, სიტი-ლონდონ) ცხოვრებაზედ, სადაც მართლაც განხორციელებულია პრინციპი ქალაქთა თვით-მმართველობისა.

გლაზგოში არსებობენ საზოგადო თორნეები, სახლები, „ტრამვაი“ და სხვა.

მიუხედავათ იმისა, რომ ქალაქის მართველობის სათავეში ჩამდგარან ხალხი, კონსერვატულ მიმართულებისა, ქალაქი მაინც დამოუკიდებელია თავის საქმეებში, თავისუფალია ყოველგვარ ცენტრალურ ბრძანებისაგან. სიტი-ლონდონმა საშუალო საუკუნიდანვე მოიპოვა დამოუკიდებლობა, შეინარჩუნა უფლება მეფესთან და მინისტრებთან ომის გამოცხადებისა. დღესაც, ყოველ-წლივ, როგორც სიმბოლოს დამოუკიდებლობისას, ნახავთ ლორდ-მერის (ქალაქის თავის) არჩევნების დღეს ბრწყინვალე პროცესიას.

თვითვეული კანტონი შვეიცარიისა და ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებულ შტატებისა ცხოვრებაში საკუთარ ... ბინ ... ...

თაც დაჯილდოდენ ბატონნი „მეცნიერულ-სოციალიზმის“ წარმომადგენელნი, „შეტა-ბუტა“ ანარქისტებისგან.

ირ. ტატ.

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲐᲛᲒᲐᲕᲘ

ნოე რამიშვილი, რომლის გულისათვის შირინკინის წინაშე შუამდგომლობდა სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატი ის. რამიშვილი, უკვე გამოუშვიათ მეტეხის საპყრობილედან.

— 5 ივნისს ვინვე ვართანოვს პოლიციამ ყუმბარა უპოვა. ვართანოვი დააპატიმრეს.

— როგორც შევიტყეთ ახალ-სენაკის მაზრაში და სვანეთისაკენ ყაზახების გაგზავნას დაჰპირებიან. პირველ მაზრაში უნდათ მოსალოდნელი აგრარული მოძრაობა აღრევე მოსპონ და მეორეში კი სურთ რომ რეაქცია განამტკიცონ, რადგან ამ ზამთარს აქეთ იქ ჯარები ვერ გადასულან და თავადი დადიშკელიანები კი შიშით ვერ დაბრუნებულან.

— 4 ივნისს კრასნოგორსკის ქუჩაზე დილით $7^1/_2$ საათზე ვიღაც შეიარაღებული კაცები თავს დაეცენ შედუქნე. ფარსადანოვს წაართვეს 40 მან. ფული და შემდეგ რევოლვერიდან სროლით მიიმალენ.

— ჩვენ გადმოგვცეს, რომ სადგურ მოლითიდან მომავალს № 4 მატარებელზე ისხდენ ურიები, რომელთაც მარწყვი მოჰქონდათ ქალაქში გასასყიდლათ. შეუნიშნავს ეს ჯანდარს ურიებს გასწყრომია და კალათების ფანჯრიდან გადაყრა მოუნდომებია. ბევრი ხვეწნა-მუდარის შემდეგ კალათები აღარ გადუყრია, მაგრამ სამაგიეროთ მანეთი გამოურთმევია და მხოლოთ მაშინ დასთხოვებია.

— 5 ივნისს საღამოს 9 საათზე შესდგა ქალაქის საბჭოს მორიგი კრება.

კრებამ გაარჩია სამი საკითხი.

ფოშტის სადგურიდან ფოშტა-ტელეგრაფის შენობამდე მიტანმოტანის შესახებ, მთავრობის განკარგულებაზე ქალაქის საბჭოს დადგენილების შესახებ და უმუშაოთ დარჩენილების საქმეების მოსაწყობათ ფულის გადადებაზე.

პირველი საკითხი კრებამ მიიღო ამ რიგათ: ნება მიეცეს უსახელო საზოგადოებას მოაწყოს ფოშტის გადატან-გადმოტანის საქმე, რაზედაც ქალაქს წელიწადში 600 მან. ფულს მისცემს ზემოხსენებული საზოგადოება. მეორე საკითხზე მოხსენების შემდეგ კრებამ ერთხმათ დაადგინა ადმინისტრაციის გმნკარგულება განახილოს. საქმე იმაში ყოფილა, რომ ამას წინათ კრებას, ხმოსანი ხატისოვის მოხსენების თანხმათ, დაუდგენია 1000 მანეთი გადასდოს ქალაქში მდაბიო ხალხისათვის ლექციების გასამართავათ და მიტინგებისათვის შენობის ასაგებლად ნახალოვკაში.

აგრეთვე გადაუწყვეტიათ 2000 მ. ჯიგზავნოს შუა გუბერნიებში დაზარალებულის ურიების სასარგებლოთ, 5,000 მანეთი დაზარალებული გურულების სასარგებლოთ და 10,000 მანეთი ბაქოსა და ერევნის გუბერნიებში დაზარალებულთათვის. ადმინისტრაციას ასეთი გადაწყვეტილება საბჭოსი უკანონოთ უცვნია და უარი უთქვამს დამტკიცებაზე. მესამე საკითხმა, შესახებ უსაქმოთ დარჩენილების საქმეების მოსაწყობათ ფულის გადადებაზე; გამოიწვია ცხარე კამათი. მიუხედავათ იმისა რომ ბ. ბ. ხატისოვი, ალ. არღუთინსკი და ბაბოვი კრებას უმტკიცებდენ, რომ საქმეების მოწყობა აუცილებელი საჭიროა და საშუალების გამოძებნაც შეუძლებელი არ არის, ბ. ევანგულოვი, ენფიანჯიანცი და რამდენიმე სხვები. შეუძლებლათ ხედავდენ ამ საქმის მოწყობას.

ბოლოს კრებამ ერთხმათ დაადგინა გადაიდვას 20,000 მანეთი ქალაქის საერთო გადასაწერათ და სანიტარული მდგომარეობის ასაწერათ.

— ამას წინათ გაფიცულმა ნოქრებმა მიაღწიეს თავის მიზანს და შეუდგენ მუშაობას,

შეშის საწყობების მუშების მოთხოვნილებანი დაკმაყოფილეს და შეუდგენ მუშაობას. გაფიცული არიან და ჯერ მუშაობას არ შესდგომიან მინერალური წყლების ქარხნების მუშები. გაიფიცნენ ყველა მუშები იუზბაშევის საკანდიტროსი და მოთხოვნილებანი წარადგინეს.

— 3 ივნისს აგრეთვე მოთხოვნილებანი წარუდგინეს უსახელო საზოგადოების დირექციას ტრამვაის დეპოს მუშებმა.

დირექტორმა სამი დღის ვადა დაუთქვა საპასუხოთ.

— 5 ივნისს ელისაბედის ქუჩაზე რამოდენიმე შეიარაღებული კაცი თავს დაესხენ ტრამვაის ვაგონს. გასძარცვეს რამდენიმე მგზავრი.

ᲛᲣᲨᲐᲗᲐ ᲛᲝᲫᲠᲐᲝᲑᲐ.

ᲘᲢᲐᲚᲘᲐ.

თუ წარსულში იტალია ითვლებოდა ხელოვნების კლასსიკურ ქვეყნად, ეხლა შეიძლება ითქვას, რომ იტალია მუშების გაჟლეტის კლასსიკური ქვეყანად გამხდარა.

ცამეტი თვის განმავლობაში მხოლოდ სამხრეთ იტალიის ერთ პროვინციაში (ლეკსი) ცამეტჯერ იყო მუშების ჟლეტა-ხოცვა, უკანასკნელი ჟლეტა-ხოცვა გალიმერაში მოხდა, 18 აპრილს.

ამ ამბავმა დიდი მღელვარება გამოიწვია მუშათა ყველა წრეებში, სადაც ჯერ კიდევ არ დავიწყებულან შეიარაღებული უსაქმურების მიერ უიარაღო მუშების ამოხოცვის უმსგავსო მოქმედება მუროში და სკოლატანოში.

ამ მხეცურმა საქციელმა გამოიწვია აზრი, რომლითაც საყოველთაო გაფიცვა მკვლელ-მთავრობის წინააღმდეგ უნდა გამოცხადებულიყო; მაგრამ, როდესაც ეს აზრი შრომის საერთო კომმისიამ წარუდგინა განსახილველად შრომის საბჭოს ბიუროს, მაშინ სოციალისტ-რეფორმისტების წყალობით არ იქმნა მიღებული.

საჭირო შეიქმნა კიდევ ხელ-ახალი ჟლეტა-ხოცვა იმისთვის, რომ მმართველი საბჭო შრომის ბიუროს აიძულებინათ გადაეწყვიტა საყოველთაო გაფიცვა, რომელიც მან წინეთ უარჰყო.

საქმე ასე იყო: ტურინში ბამბის მრეწველობის მუშა ქალები გაიფიცნენ. თორმეტი ათასმა მუშა ქალმა, რომლებსაც ყვლეფდენ ქარხნებში პირველად ასწიეს თავი, შეხედეს თავისუფლების ცას და თავის უსინდისო ექსპლოატატორებს. ეს საწყალი მუშა ქალები თხუთმეტ დღეში აღებდნენ 3 მანეთს და 73 კაპ., ე. ი. დღეში 25 კაპეიკს და მუშაობდნენ 11 სათს

რას თხოულობდნენ ეს უსინდისოდ დაჩაგრული მუშა-ქალები?

ბევრს არაფერს:

1) ათი საათის სამუშაო დღე.

2) 2 საათის დასვენება ზაფხულში, ზამთარში $1^1/_2$ საათი სადილისთვის.

3) ხუთი წამი თავისუფლება სახელოსნოში შესვლის დროს და ხუთი გამოსვლის დროს.

4) ქირიდგან დაპერილ გადასახად. ფულისთვის კასსის დაარსება, რომელიც მუშების გამგეობაში დარჩეს.

5) ქირის გადასინჯვა, როდესაც ახალი სამუშაო საათების აღწერა იქმნება შემოღებული ქირის შემცირების ასაცილებლად.

6) მოსპობა ფულის დაპერის, ვითომ იმ მიზეზით, რომ იხარჯება, ნემსი, ძაფი და სხვა და მასალა ფუჭდება.

აი, უბრალო და უმნიშვნელო მოთხოვნილებაზედ ცივი, ჯიუტი უარი მიიღეს მყვლეფელებისაგან, რის გამო გაფიცულებმა მიიზიდეს მცხოვრებლების მთელი სიმპატია. ამიტომ გადაწყვიტეს, რომ თუ მუშა ქალების მოთხოვნები არ იქმნენ იქმნენ დაკმაყოფილებულნი, მაშინ ქალაქის ყველა კორპორაციები უნდა გაიფიცნენ საყოველთაოდ.

რადგან გაპირუტყვებულმა კაპიტალისტებმა არ დაუთმეს გაფიცულთ, ამიტომ იფეთქა საყოველთავო გაფიცვამ.

მაგრამ ბურჟუაზიამ როგორც ყოველთვის მოიყვანა მოძრაობაში ყველა თავისი ბნელი ძალები, მიუსია ჯარები და პოლიცია გაფიცულებს და გაფანტა. გაფიცულების ერთმა ნაწილმა შეაფარა თავი შრომის ბიუროს სადგომში.

უკვე პოლიციელთა რაზმი მხეცურად შეევარდა მუშებით სავსე ვესტიბულში და თვალის დახამხამების უმალ დასცალა რევოლვერები ყოველ მხრით. მრავალი დაიჭრა სასიკვდილოდ და მრავალი მსუბუქად.

როდესაც ეს მკვლელობა შეიტყვეს, იტალიის დანარჩენ პროლეტარიატმაც აღელვებულმა მთავრობის და ბურჟუაზიის უმსგავსობით, გამოაცხადა საერთო გაფიცვა იტალიის სხვა ქალაქებშიც: მილანში, რომში, მთელ ბოლონიის პროვინციაში თავის ქალაქით, ლიგორნოში, პარმში, რავენაში, ანკონაში, იშოლაში და სხვაგან.

ამ სანახაობაზე იტალიის საწყალ კვიეტისტებმა, რომლებსაც საფრანგეთში სიწყნარის მომხრეებს, ხალხის დამძინებლებს უძახიან ანარქისტები და ვისაც საერთო სახალხთა—შორისო სახელი სოციალ.-რეფორმისტები, სოციალ.-დემოკრატები არის, ჩამოუშვეს ხორთუმები მილანში, რომში, ბოლონიაში ამ ვაჟ-ბატონებს სტვენით უპასუხეს. მუშათა ორგანიზაციების რეზოლიუციებში ყველა პარლამენტარისტ სოციალისტებს გამოუცხადეს გაკიცხვა იმისთვის, რომ პარლამენტარისტ სოციალისტებმა უარჰყვეს ეს საყოველთაო გაფიცვა.

როდესაც პარლამენტარისტ სოციალისტებმა დანახეს, რომ ამ მხრით საქმე წაგებული იყო მათთვის, მაშინ სხვა პარლამენტარისტურ ხრიკს მიმართეს: მოინდომეს შეზღუდვა, შემოკლება საერთო გაფიცვის, რომელიც მათი აზრით მხოლოდ 24 საათი უნდა გაგრძელებულიყო. მაგრამ ვერ მოახერხეს თავისი ხრიკების გაყვანა ვერც რომში, ვერც მილანში, ვერც ბოლონიაში. მიუხედავად ბურჟუაზიული პრესის, სოც.-დემოკრატიის და პოლიციელთა კავშირის გაფიცვის წინააღმდეგ გაფიცვამ მაინც რამოდენიმე დღე გასტანა.

არის ბევრი პარლამენტარისტი სოციალისტები, რომლებმაც გამოიგონეს ჟლეტა-ხოცვის ასაცდენი საშვალება, რომელიც შესდგება მათ მიერ გამოგონილ კანონ-პროექტში, რომლითაც გაწესრიგებული უნდა იქმნას სამხედრო ძალის ხმარება გაფიცვების დროს, პროეკტი, რომელიც პარლამენტმა ერთხმად უარჰყო. საჭიროა რეფორმისტული, პარლამენტარისტული სიშტერე, მუშების ხოცვის წამლათ კანონის ხმარება; ვითომ არ ვიცოდეთ კანონების ღირებულება; ეხლა ყველა სოციალისტ დეპუტატმა უარი სთქვეს დეპუტატობაზე, იმ იმედით, რომ იმათ ხელახლა ამოირჩევენ და ამით ისინი დაიმსახურებენ იმ ნდობას, რომელიც იმათ დაჰკარგეს შეგნებულ პროლეტარიატის თვალში.

ამ ნაირად ეხლა შეუდგებიან არჩევნებს იმიტომ, რომ ხელ ახლა დააძინონ პროლეტარიატი, რომელმაც დაიწყო გამოღვიძება.

ჩვენთვის ერთი რამ არის ცხადი, როგორც დღე, სახელდობრ ის, რომ პარლამენტის მეარღნეები, იმისთვის, რომ გაიმარჯვონ, ეცდებიან გაიმარჯვონ საერთო გაფიცვის წინააღმდეგ, იმ საერთო გაფიცვის, რომელიც მათი კომენდიატური თავის უარის ყოფაა.

ბოჰემია.

ჩეხიის ანარქისტების წინააღმდეგ. ავსტრიის მთავრობამ ჩეხიის პროლეტარიატის მიერ მოხდენილ 1 მაისის მანიფესტაციას, პასუხი ჩეხელ ამხანაგების ბინების გაჩხრეკით გასცა. ამ ბოლო დროს ანარქისტულმა პროპაგანდამ ჩეხიაში ძლიერ გადაწყვეტილი ხასიათი მიიღო. 1 მაისის მანიფესტაციის გამო მრავალი ჩეხელი ამხანაგი მუშები იქმნენ დათხოვილი ქარხნებიდგან ჩრდილოეთის მაღაროებში, კლადნოში და ბრუხში, სადაც ანარხიულ მოძრაობას ჩეხიაში თავისი საუკეთესო პოზიციები ჰქონდა. მთავრობამ დაიჭირა რედაქტორი-ამხანაგი, მისი თანაშემწე, თანამშრომლები და ერთის გარდა ყველა ნომერი ანარქისტული გაზეთისა, მაგრამ თუმცა-ღა მთავრობა სუნთქვამს რეპრესიებით ისე, როგორც თავისი წმინდა ჰაერით, ყველა ქვეყანაში ანარხისტების წინააღმდეგ ატყვევებს ზოგ ჩვენ ამხანაგებს, ადგენს კავშირებს ანარქისტების წინააღმდეგ მათ გასაძევებლად სხვა და სხვა ქვეყნებიდგან და ამით ცდილობს შეაჩეროს სოციალური განსჯა-განკიცხვის დღე—რევოლიუცია, რომელიც მას უახლოვდება, როგორც მოხუცს სიკვდილი, მაგრამ ცხადია მისი მომაკვდავისებური უკანასკნელი ძალობა! ჩვენ ისევ ფეხზე ვდგევართ, საიდგანაც არ გაგვაძევონ, სივრციდან მაინც ვერ გაგვაძევებენ, რაც უნდა გვხოცონ, ჩვენ მაინც მრავლდებით და ეს ჩვენი გამრავლების ნიჭი იმოდენათ შეთვისებია ცხოვრებას რამოდენადაც არსებული არსებობს. როვოლიუცია აუცილებელია: ის მოდის ისეთი სინათლით, რომლითაც გაანათლებს ადამიანს ბრწყინვალე თავისუფლების შუქით და დააბნელებს, დასცემს ადამიანის თავისუფლების ყველა მტრების გულს.

სოც.-დემოკრატიული ქარხანა ცილის წამებისა.

სოც.-დემოკრატების აზრით (,,ლამპარი‘‘ № 34) თურმე ის მოვლენა, რომლითაც რუსეთში ამ ბოლო დროს ანარქისტები მრავლდებიან, ,,იმით აიხსნება, რომ მრავალი მუშები ულუკმა-პუროდ დარჩენ და თან ბევრი მათგანი ჯერ კიდევ ნაკლებით შეგნებულია‘‘. საწყალი სოც.-დემოკრატიული პარტიის მწერები! დაუდგა მათ პარტიას შემოდგომა და გამწარებული იჭინებიან; მაგრამ ცხადია მომაკვდავია ყველაფერი ამ ქვეყნად, განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ ზოგი ადრე კვდება, ზოგი გვიან: უფრო ბევრი ბუნებრივათ ახალგაზრდაზე, სიცოცხლით და ცხოვრების საშვალებით მდიდარზე ადრე კვდება! კვდება სოც.-დემოკრატია თავის გონებრივი, ზნეობრივი სიბერით, თავის სინიდისის და ჭეშმარიტების სიღატაკით და მისი ცხოვრების შემოდგომა ჩასჩურჩულებს: ,,მოდი ისახელე თავი ცილის წამების, ცრუ-აზრების გავრცელების ისტორიის შავფურცელზე ისე, როგორც სულელმა გეროსტრატმა, რომელმაც იმისთვის, რომ თავისი სახელი ისტორიაში ჩაეწერა, დასწვა საუკეთესო ხელოვნური ნაწარმოები, შენობა ძველი საბერძნეთის‘‘.

მართალია, რომ სოც.-დემოკრატია დასტოვებს კაცობრიობის და გამოღვიძებული პროლეტარიატის გულში ისე, როგორც დღევანდელი რეაქცია, მახსოვნობას თავის სინიდისის სიბინძურისას მაგრამ გვიკვირს, რომ ეს სინიდისით და ზნეობით საზიზღარი, პოლიტიკურად მატყუარი და სოციალურად ცრუ სოციალიზმის მქადაგებელი პარტია სოც.-დემოკრატია ვერ მიმხვდარა, რომ მუშათა შეუგნებლობა ანარქიასთან უცვლელად რომ იყოს დაკავშირებული, მაშინ ჩვენ ვიქნებოდით სოც.-დამოკრატიაზე ადრე გავრცელებული, რადგან რაც უფრო დრო გადის მით უფრო შეგნებულია პროლეტარიატი, მაგრამ სოც.-დემოკრატია, საბედნიეროდ ჩვენდა, თვითონ ამბობს, რომ ჩვენ მოვედით სხვაზე ადრეთ მუშების შეგნების გასაზრდელადო, რაც მათივე ლამპრისებური ლოგიკით ნიშნავს იმას, რომ შეუგნებელ კლასს შეუგნებელი პარტია შეფერის და სოც.-დემოკრატიული პარტია, როგორც ჩვენზე უფრო პირველ ყოფილი შეეფერება პირველ-ყოფილ შეუგნებლობას მუშებისას; ეხლა რადგან მუშები უფრო წინ წავიდნენ თავიანთ ნამდვილი სოციალისტური ინტერესების შეგნებაში მით უფრო ითვისებენ ანარქისტულ მოძრაობას.

წერაქვი.

კორრესპონდენცია.

გორი.

მიუხედავათ იმის, რომ აქაური ნოქრები ბევრი ეცადნენ სამუშაო დროს შემცირებით როგორმე შეემსუბუქებინათ თავის მძიმე აუტანელი მდგომარეობა. გამარჯვებულები დღეს მაინც ხაზეინები არიან: მაღაზიები იღება დილის რვა საათზე და იკეტება საღამოს რვაზედ. მთელი თორმეტი საათი ნოქარმა უნდა დაჰყოს მაღაზიაში. ხაზეინს შეუძლიან და არაფერს წააგებს, რომ თვითონ სულაც არ მიეკაროს მაღაზიას; ნოქარი კი დილით საღამომდის ტუსაღსავით უნდა შესცქეროდეს ოთხ კედლს, იღლებოდეს, იქანცებოდეს. მას არ შეუძლიან ცოტა ხნობითაც მაინც თავი დააღწიოს მაღაზიას, გაიარ-გამოიაროს, შეისვენოს, ჰაერი გამოიცვალოს. ზემოთ ნათქვამ გამარჯვებაში ხაზაინებს ხელი შეუწყო და დაეხმარა რეაქცია, რომლითაც „ახალი“-ს მოწინააღმდეგენი ასე დაგვცინიან ჩვენ. მაგრამ ეს დაცინვა სრულებით არ გვაშინებს, რადგან ვიცით, რომ იგი, რეაქცია მხოლოდ დროებითია, წარმავალია, ვიცით, რომ იგი მალე გაქრება, და რას აპირობენ მაშინ ეს ვაჟბატონები, რა პასუხს აძლევენ მათ, ვის წინააღმდეგაც ასე მოხერხებულათ სარგებლობენ რეაქციით და მისი ბნელი ძალებით?!...

მივაქცევ მკითხველის ყურადღებას იმ გარემოებას, რომ მაშინ, როცა ჩვენს პატარა ქალაქში ყველა დუქან-მაღაზიები დილის რვა საათამდის —საღამოს რვიდან დაკეტილებია, დილის ხუთიდან თუ ექვსიდან იღება სამიკიტნოები, ეს კაცის გონების განმათავისუფლებელი და გამომაფხიზლებელი დაწესებულებანი, იკეტება კი ღამის ათ-თერთმეტ საათზე. და აი როდესაც დილით ადრე აქაური ნოქარ-ქარგალ-შეგირდობა გამოდის სახლიდგან და ჰხედავს, რომ საქმის ხელის მოკიდვა ჯერ კიდევ ადრეა, მიდის სამიკიტნოში, სადაც ცბიერის ღიმილით მოელის მას ღიპიანი მიკიტანი. რა უნდა გააკეთოს, როგორ უნდა გრძნობდეს კაცი თავს, როდესაც იგი დილითვე სამიკიტნოში ხელადასთან მუსაიფ-არშიყობაში ატარებს დროს?! სასურველია სამიკიტნოებიც იღებოდეს-იკეტებოდეს სხვა დანარჩენ დუქან-მაღაზიებთან ერთად.

ცანი.

დეპეშები

(პეტერბურგის დეპეშები სააგენტო).

პეტერბურგი, 5 ივნისი. ოფიციალური.

3 ივნისს შინაგან საქმეთა მინისტრმა გუბერნატორებს და ქალაქის მოურავებს შემდეგი შინაარსის ტელეგრამა გაუგზავნა: პოგრომების თავიდგან ასაცდენად და იმის და მიხედვით თუ რაც მოხდა ბელოსტოკში, ჩააგონეთ თქვენ ხელ ქვეითებს, რომ მე დიდი იმედი მაქვს იმათი, რომ ისინი თავგამოდებით იმოქმედებენ და შეასრულებენ თავის მოვალეობას. ყოველივე პირობებს, აგრარული იქნება იგი თუ ებრაელების წინააღმდეგ მიმართავთ, გაფრთხილებით უნდა მოექცნენ.

მოსკოვი, 5 ივნისს გავრცელებული მოსკოვის და პეტერბურგის გაზეთებში ხმები, ვითომ მოსალოდნელია სარკინიგზო გაფიცვა და შეიარაღებული აჯანყება იმ შემთხვევაში თუ სახელმწიფო სათათბიროს დაითხოვენ, როგორც გამოირკვა გამომდინარეობს ერთ განცალკევებულ ჯგუფიდან. მთავრობის მტკიცე რწმენით ეს ხმები სრულიად უსაფუძვლოა. ყოველ შემთხვევა[...] მთავრობა მიიღებს ზომებს, არამ[...] თუ აჯანყების და რკინის-გზის გ[...]ფიცვის, არამედ ყველა უწესოებ[...] წინააღმდეგ.

კალუგა,-რკინის-გზის სახელო[...]ნოების მუშები გამოცხადნენ სამ[...]შაოდ და გაგზავნეს დეპუტატებ[...] უფროსებთან თხოვნით, რომ გახსნ[...] სახელოსნოები. ყველა მუშები ს[...] ბრალეულს აცხადებენ. ქალაქშ[...] სრული სიმშვიდეა.

კიევი, 4 ივნისი. გაჩხრიკეს სტუ[...]დენტ მეზნევის ოთახი, აღმოაჩინ[...] ბევრი პროკლამაცია; 100 ცალ[...] „რაზსვეტისა“, ტყვიები, რევოლვერ[...] ბრაუნინგის სისტემისა თავის ტყვია[...]ებით. მეზნევთან დაჭერილია [...] დროს იქ მყოფნი ორი სხვა სტუ[...]დენტები, რომლებსაც უნახეს რამ[...]დენიმე არალეგალური ლიტერატურ[...] და რევოლვერები. მეოთხე ამხანა[...] კიდევ იქ მყოფი მაიმალა.

ტულა, 4 ივნისი. ვინევის მა[...]რაში დაიწყო აგრარული მოძრაობა[...] ღამით 3 ივნისს პაკროვის სადგომ[...] დასწვეს კანტორა და გატაცეს ნაწ[...]ლი მამულის შემოსავალ-გასავლ[...]კასიდან ფული.

კალუგა, 4 ივნისი. სიზრანო-ვია[...]ზემსკის რკინის გზის სახელოსნ[...]ების მუშებმა თავი დაანებეს სამუ[...]შაოს მანამდი, სანამ არ გაანთავი[...]უფლებენ მათ დატყვევებულ სამ [...] ხანაგს მთავრობისაგან კი ცივი უ[...]რია რა ხან შინაგან საქმეთა მინი[...]სტრის განკარგულებით ისინი გარდა[...]სახლებულია ტომსკის გუბერნიაში.

სარატოვი, 4 ივნისი. გაფიცვ[...] დამტვირთველ მუშებისა შეწყდა[...] მოუმატეს სამუშაო ქირა. სხვა მოთ[...]ხოვნილებანი დაუკმაყოფილებელია.

კოსტრომა, 4 ივნისი. გაანთა[...]ვისუფლეს საპყრობილედან მუშა ს[...] მანოვსკი, რომელიც შეპყრობილ[...] იყო მუშების დეპუტატთა კავშირი[...] საქმის გამო.

სოხიცი, 4 ივნისი. სოფელ[...]რადომსკში პოლიტიკურ აგიტატო[...]რის დატყვევების დროს დაიჭრა პრი[...]სტავი.

პეტერბურგი. 4 ივნისი. ბელოს[...]ტოკში აწიოკება 2 ივნისს შეწყ[...]და. მთელ ღამეს რევოლიუციონე[...]რები ესროდნენ საპოლიციო სასა[...]მართლოს, რომელიც ჯარისაგან შე[...]წყვეტილ იქმნა. დაიწვა შენობები[...] ტყვიების ზუზუნის გამო ცეცხლის[...] ჩამქრობელმა რაზმმა ველარ იხმარა[...] საშვალება ცეცხლის ჩასაქრობათ. გროდნოს გუბერნატორმა დაათვა[...]ლიერა ქალაქი და საავადმყოფოები[...] ებრაელების და მართლმადიდებლე[...]ბისაც. აღმოჩნდა 60 დაჭრილი, და[...] დაახლოვებით 70 მოკლული. გუბერნატორმა განცხადება გამოსც[...] რომ უკიდურესი და უსასტიკესი[...] ზომები იქნება მიღებული არეულო[...]ბის ჩასაქრობათ.

რედაქტორ-გამომცემელი

მიხეილ დიასამიძე.

ელექტრონის სტამბა მიხეილ ექვთიმის-ძე ხელაძისა, სოლოლაკი, პასკევიჩის ქუჩა, სახ. № 3.